

შპს ვოლტა გრუპ

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

Contents

1. შესავალი	5
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	7
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
6. ძირითადი საშუალებები.....	8
5. არამატერიალური აქტივი.....	9
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	9
8. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9
9. ნასესხები თანხები.....	10
10. შემოსავალი გაყიდვებიდან და მომსახურებიდან.....	10
11. გაყიდვების თვითღირებულება	10
14. საპროცენტო ხარჯი.....	11


შპს ვოლტა გრუპ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	38 157	28 002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
გაცემული ავანსები	4	1 392 697	961 328
მარაგები		6 555	0
არამატერიალური აქტივები	5	6 655	0
		10 226	5 997
სხვა მოკლევადიანი აქტივები		5 2276	2 518
ძირითადი საშუალებები	6	36 828	37 770
სულ აქტივები		1 496 395	1 035 615
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	29 612	14 093
საგადასახადო ვალდებულებები		22 556	8 831
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9	759 720	658 893
სხვა ვალდებულებები		1 631	
სულ ვალდებულებები		813 519	681 817
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
(დაგროვილი ზარალი) / გაუნაწილებელი მოგება		682 876	353 798
სულ საკუთარი კაპიტალი		682 876	353 798
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 496 395	1 035 615

შპს ვოლტა გრუპი
საქმიანობის შედეგები

დირექტორი:



შპს ვოლტა გრუპი
საქმიანობის შედეგები

ერთეულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან	10	2 543 642	2 072 608
მომსახურების გაწევიდან		7 327	8 739
სხვა საოპერაციო შემოსავალი		61 764	43 665
გაყიდვების თვითღირებულება	11	(1 595 096)	(1 407 899)
საერთო მოგება		<u>1 017 637</u>	<u>717 113</u>
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	(352 927)	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(9 339)	(6 238)
საპროცენტო ხარჯი	13	(68 090)	(63 030)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(230 957)	(407 347)
სულ საოპერაციო ხარჯები		<u>(661 313)</u>	<u>(476 615)</u>

მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის
ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან

356 324

240 498

ერთეულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
მოგების გადასახადი		(4,087)	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)		352 237	240 497
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი		353 798	113 301
განაწილება მესაკუთრეზე		(23 159)	
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		682 876	353 798

ერთეულ ლარში	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		2 605 147	
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები		316 500	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2 537 765)	
სესხის ძირის გადახდა		(232 008)	
სესხის პროცენტის გადახდა		(65 717)	
დივიდენდის გადახდა		(22 001)	
სხვა		(3 320)	
ფულადი სახსრების შესვლა გასვლა		60 836	
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(50 681)	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		28 002	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		38 157	

1. შესავალი

შპს ვოლტა გრუპი საიდენტიფიკაციო ნომრით: 402145362. (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2019 წელს და მდებარეობს საქართველოში. ჩუღურეთის რაიონი, 9 ძმის ქუჩა ნომერი 81.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შექმნილია საქართველოში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

საქმიანობის ძირითადი სფერო

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მსხვილი და წვრილი ტექნიკისა და სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ქართულ ლარში („ლარი“) თუკი სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის მუხლები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობად და რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა. ცვეთა გამოიანგარიშება კლებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო მომსახურების ვადის განმავლობაში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ცხრილში:

წელი

კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და მოწყობილობები	5

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში: 10 წელი.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხორციელდება მაშინ, როდესაც კრედიტორმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები და აღირიცხება ხელშეკრულებაში მითითებული გარიგების ფასით.

ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, დამატებული დარიცხული პროცენტი.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად,

მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში 5%-ის ოდენობით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის წმინდა გაცემული დივიდენდი იგროსება 5%-ით,

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“). გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიერ პროდუქტის ღირებულების ავანსის გადახდისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ანაგრაიშ-ფაქტურის მიღებისას.

გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. შემოსავლის და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ქართულ ლარში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული შესაბამისი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება გარიგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსებით. ამ ოპერაციებიდან წარმომდგარი მოგება და ზარალი აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საბალანსო უწყისის თარიღის გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2,8068 ლარი, 1 ევრო - 2,9306 ლარი.

თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები და შესაბამისი შენატანები.

ხელფასების, შვებულება და ბიულეტენის, პრემიების და თანამშრომლებზე გაცემული არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხდება იმ თვეში რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანიის ფულადი სახსრები შეადგენს სს“თიბისი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ტერა ბანკი“ სს „ლიბერთი“ ბანკში მის კუთვნილ ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ
ფული მიმდინარე საბ ანგარიშებზე	37 642
სავაჭ და სხვ მოთხოვნები	1 392 697
სულ ფულადი სახსრები	1 430 339

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება კომპანიის მიერ რეალიზებული პროდუქციის ასანაზღაურებელი სახსრებისგან. და ასევე კომპანიის მიერ გაწეული მარკეტინგული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხებიდან. მომსახურების საფასური რეგულირდება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების და შესაბამისი გამოწერილი საგადასახადო ზედნადების საფუძველზე. კომპანიის მომხმარებლები ძირითადად წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2024წ
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	1 392 698
სხვა მოთხოვნები	6 555
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 399 253

6. ძირითადი საშუალებები.

კომპანიის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკა, ავტომობილი და საოფისე აღჭურვილობა.

ერთეულ ლარში	კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურ-ვილობა, ავტომობილი	ავეჯი და მოწყობი- ლობები
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.	36 147	13 492
დაგროვილი ცვეთა	5 546	1988

5. არამატერიალური აქტივი.

არამატერიალურ აქტივს წამოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2024წ	31 დეკემბერი 2023 წ
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12 031	
აქტივის შექმნის ხარჯები		
დაგროვილი ცვეთა	1 805	
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 226	

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებს წარმოადგენს მოწოდებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები, რომელიც 2024 წლისთვის შეადგენს 29 612 ლარს.

8. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ.

9. ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები შედგება დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან და საფინანსო ორგანიზაციისგან ნასესხები თანხებისაგან. გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი და სხვა პირობები რეგულირდება სესხის ხელშეკრულების შესაბამისად. კომპანიას სესხები მიღებული აქვს, როგორც აშშ დოლარში, ასევე ლარში. დოლარის სესხის თანხა დარიცხულია და აღიარებულია დოლარში გადახდის დღეს არსებული 1 აშშ დოლარის ღირებულებით ეროვნული კურსის შესაბამისად. სესხის თანხის გადაფასება ხდება ყოველი თვის ბოლოს ლარსა და აშშ დოლარს შორის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსთა შორის სხვაობით, ხოლო საკურსო ზარალი/მოგება ასახულია საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

10. შემოსავალი გაყიდვებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის შემოსავლებს წარმოადგენს, პროდუქციის გაყიდვიდან და ასევე მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

ერთეულ ლარში	31 დეკემბერი, 2024წ	31 დეკემბერი 2023 წ
	2 543 642	
შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან მომსახურების გაწევიდან	7 327	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	61 764	
<u>სულ შემოსავლები</u>	<u>2 612 733</u>	

სხვა საოპერაციო შემოსავალი - 61 764 ლარი, შედგება ჯარიმისგან და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავლისგან.

11. გაყიდვების თვითღირებულება

5-12

10

გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ქვემოთ ცხრილის სახით მოცემულია ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები.

ერთეულ ლარში

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

პროდუქციის თვითღირებულება
დასაქმებულთა ანაზღაურება

(1 595 096)
(352 927)

12. დასაქმებულთა ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაწეულია კომპანიის დასაქმებულების მიერ.

13. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯები როგორც წესი აღირიცხება დარიცხვის საფუძველზე.

ანგარიშების თარიღის შემდეგ არ დაფიქსირებულა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

დირექტორი; *მხოლოდ ცხრილი*



5-12

11

გვრდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.